დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ - მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: სახელი, გვარი: ნინო ქიტიაშვილი

წევრები:
სახელი, გვარი: ვალერი ჯაჯანიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 200279448

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 03 აგვისტოს ბრძანების N MES 3 26 0001007057 საფუძველზე, განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ - კოლეჯში „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ - ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქ. N44. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინტერვიუები კოლეჯის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პარტნიორი ორგანიზაციების/პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან. ადგილზე შემოწმდა სასწავლო აუდიტორიები, ავტოსახელოსნოები და მათი აღჭურვილობა. შეფასდა პროგრამის პაკეტი, სასწავლო გეგმები, მოდულები, საპროგნოზო ბიუჯეტი, შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა, პერსონალის პირადი საქმეები და პარტნიორ კომპანიებთან (შპს „მაქსსერვისი“, შპს „ნიუ ენერჯი ინვესტი“, შპს „ქარ ფოინტი“, შპს „სუპერ მოტორსი მჯ“, შპს „ნოვატორი-ტექნოლოგიური სისტემები“, შპს „კენტავრი“) გაფორმებული მემორანდუმები.

განხორციელებული ინტერვიუების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის დეტალური ანალიზის შედეგად დადასტურდა, რომ კოლეჯს მომზადებული აქვს შესაბამისი გარემო და რესურსები აღნიშნული პროგრამის წარმატებით განსახორციელებლად. შესაბამისად, წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ სრულად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაცია არ გაცემულა

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სსიპ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ განხორციელებული ვიზიტის შედეგად ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილ დასკვნის პროექტთან მიმართებაში რაიმე შენიშვნა არ გაგვაჩნია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0716
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	კოლეჯის დირექტორის 24.07.2026 წ. №972976 (ცვლილება, 07.08.2026 წ. №1024224 ბრძანება) ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქ. N44
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	79
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	94

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ თვითშეფასების ფორმაში არსებული მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი გვაძლევს სრულ სურათს პროგრამის განხორციელების საჭიროების შესახებ, აღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის კვლევები, როგორც რეგიონის ასევე მთელი ქვეყნის მასშტაბით, წარმოდგენილია საქართველოს შრომის ბაზრის 2024 წლის ანალიზი, შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში (WORKNET.GOV.GE) დამსაქმებლების მიერ დარეგისტრირებული ვაკანსიების დარგობრივი მოკვლევის შედეგები, საქართველოში არსებული დასაქმების ვებ-გვერდებზე განთავსებული ვაკანსიების სტატისტიკური მოკვლევა. კოლეჯს აქვს მსგავსი დასახელების პროგრამის განხორციელების მრავალწლიანი პრაქტიკა, შედეგად წარმოდგენილია კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის კვლევის ანალიზი, რომელიც საშუალოდ შეადგენს 85%. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულება მრავალპროფილურია, იმდენად დიდი გამოცდილება აქვს ავტომობილების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების, რომ აღნიშნული სფერო კოლეჯის ერთგვარ ნიშას წარმოადგენს. კოლეჯს აღნიშნული პროფესიული პროგრამის განხორციელების მიზნით მოპოვებული აქვს საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს თანხმობა, რაც დასტურდება დაწესებულებაში მიღებული კორესპონდენციით - სამინისტროს 04/07/2026 წლის MES 816422 წერილით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პსდ-ს გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ განხორციელებასთან დაკავშირებით შესაბამისობაშია კოლეჯის მისიასთან, კერძოდ დაწესებულების მისიაა ,,თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის/მსმენელისთვის ხელმისაწვდომი, სრულფასოვანი, დინამიური, ხარისხიანი პროფესიული სწავლებით უზრუნველყოფა, რაც ხელს შეუწყობს შრომის ბაზართან ადაპტირებული, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, მათი შემდგომი დასაქმებისა და თვითრეალიზაციის პერსპექტივით”. კოლეჯის გადაწყვეტილება წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისა და განხორციელების შესახებ ეფუძნება პსდ-ს 2026-2032 წწ. სტრატეგიული განვითარების გეგმის პირველ სტრატეგიულ მიზანს, რაც თავის მხრივ განმტკიცებულია მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმით.

ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია პროგრამით და წარმოადგენს საბაზო განათლება, რაც თავის მხრივ სრულ შესაბამისობაშია საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნებთან.

აპლიკანტთა შერჩევა-ჩარიცხვის პროცედურები რეგულირდება კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 08 ივლისს №75 (ცვლილება, დირექტორის 04.03.2026 წ. N257313 ბრძანება) ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტის ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი“ შესაბამისად. დოკუმენტში გაწერილია პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები, რომელიც ითვალისწინებს ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებულ ყველა ეტაპს დაწყებული პროგრამაზე მიღების გამოცხადებიდან დასრულებული პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებამდე. აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება ტესტირების, გასაუბრების, ან შემოქმედებითი ტურის მეთოდით, კონკრეტული დარგის შესაბამისი პროფესიული პროგრამის საჭიროების მიხედვით. დოკუმენტი ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის 42/ნ ბრძანებას ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“.

ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

სსიპ კოლეჯში ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ მოქმედებს დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 02 მაისის №34 (ცვლილება 31.12.2021წ. №247 ბრძანება) ბრძანებით. წარმოდგენილი დოკუმენტის საფუძველზე განისაზღვრება პროგრამის განხორციელების მიდგომისა და სპეციფიკის გათვალისწინებით საჭირო მატერიალური და ადამიანურ რესურსი, სასწავლო გარემოთა ტიპი და ოდენობა.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობაა 40 პროფესიული სტუდენტი. პსდ-ს წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით გამოყოფილი აქვს ერთი სალექციო აუდიტორია - A გარემო, 20 პროფესიულ სტუდენტზე და თეორიული/პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის საჭირო - 3 A/C გარემო შესაბამისი ინვენტარით 20 პროფესიულ სტუდენტზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 40 პროფესიული სტუდენტით, სასწავლო პროცესის ორ ცვლაში წარმართვის პირობით, 20 პროფესიული სტუდენტი ერთ ცვლაში.

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

მოცემული პროგრამის განაცხადს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური და სასწავლო რესურსის მინიმალური სარეკომენდაციო ნუსხა, რომელიც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ მოდულში. აღნიშნული რესურსი გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამით და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

ინდიკატორი 2.1.1.5 დაკმაყოფილებულია.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილი პირი განისაზღვრება კოლეჯის ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ 2020 წლის 18 თებერვლის №28 (ცვლილება, დირექტორის 22.04.2025წ. №431791 ბრძანება) ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტის ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგია", რეგულაციის მიხედვით პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირია კოლეჯის დირექტორი.

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 24.07.2026 წ. №972976 (ცვლილება, 07.08.2026 წ. №1024224 ბრძანება) ბრძანებით.

ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

კოლეჯის ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებაა ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“, რომელიც გამომდინარეობს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის სახელწოდებიდან, აღნიშნული სახელწოდება სრულად მოდის შესაბამისობაში პროგრამის შინაარსთან და მისაღწევ სწავლის შედეგებთან, შესაბამისად, წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ არ არის შეცდომაში შემყვანი.

ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ დამუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ საფუძველზე.

წარმოდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები. პროგრამას თან ერთვის ზოგადი და სავალდებულო მოდულები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ და სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, ინფორმაცია მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით.
ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ კოლეჯის ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ მისია;
- სსიპ კოლეჯის ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგია";
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი;
- განაცხადის დანართის სახით წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- კოლეჯის ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ დირექტორის ბრძანება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ დამტკიცების შესახებ.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრულია 40 პროფესიული სტუდენტით. გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ კოლეჯი განახორციელებს ერთ მიღებაზე 20 პროფესიული სტუდენტის მიღებას, 40 პროფესიული სტუდენტის მიღების შემთხვევაში სწავლა განხორციელდება 2 ცვლაში. სსიპ კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესაბამისობის დადგენის მიზნით ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა გარემო, გაეცნო დოკუმენტაციას და გაესაუბრა პროფესიული პროგრამის განმახორციელებლებს. კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა სსიპ კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ მიერ პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი A და A/C სასწავლო გარემოში არსებული მატერიალური რესურსის შესაბამისობა - A სასწავლო გარემო აღჭურვილია სწავლის შედეგის მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, 20 ერთეული სტუდენტის მაგიდა და სკამი, პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, დემონსტრირების ციფრული საშუალება და სხვა ინვენტარი, რამდენადაც წარმოდგენილი პროგრამა განხორციელდება რეალურ სასწავლო გარემოში კოოპერაციული მიდგომით, ამდენად უაღრესად მნიშვნელოვანია როგორც პსდ-ს A/C სასწავლო გარემოში, ისე პარტნიორი ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული აღჭურვილობის შესაბამისობა პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან. ექსპერტთა ჯგუფის მიერ A/C სასწავლო გარემოს შეფასებისას დადგინდა, რომ სასწავლო გარემოს აღჭურვილობა სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით და მისი მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ, A/C სასწავლო გარემოში წარმოდგენილია 20 ერთეული სტუდენტის მაგიდა და სკამი, პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, დემონსტრირების ციფრული საშუალება, სასწავლო დანიშნულების მქონე 2 მსუბუქი ავტომობილი, ავტომობილის ამწე - 2 ერთეული, სადიაგნოსტიკო მოწყობილობები, იარაღების კომპლექტები, ავტომობილის სხვადასხვა აგრეგატები და კვანძები, მსუბუქი ავტომობილის ძრავას, უსაფრთხოების სისტემების, ინტერიერისა და ექსტერიერის განათების სისტემის, გათბობა-კონდიცირების სისტემის და სამუხრუჭო სისტემის სიმულატორ-ტრენაჟორები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია ავტომობილის ტექნიკური სისტემების ელექტრონული მართვის პროცესების სიმულაცია, შეცდომების მოდელირება და რეალურ დროში გაზომვების წარმოება. ასევე კოლეჯის საკუთრებაშია დანართით განსაზღვრული სხვა დამხმარე მოწყობილობა და ინვენტარი, რაც კოლეჯს საშუალებას აძლევს პროგრამით გათვალისწინებული მოდულების ყველა სწავლის შედეგი დაფაროს. გარდა საკუთარი რესურსისა კოლეჯს პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები ავტოსერვისის მიმწოდებელ კომპანიებთან: შპს „სუპერმოტორსი მჯ“; შპს „ნიუ ენერჯ ინვესტი“; შპს „მაქსსერვისი; შპს ,,ქარფოინთი“, მემორანდუმის მიხედვით განსაზღვრულია პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე განხორციელებული მოდულის დასახელება, სწავლის შედეგების მითითებით, მოცემულია სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა და მატერიალური რესურსის ჩამონათვალი. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე, რის შედეგადაც დადგინდა, რომ პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე წარმოდგენილია სადიაგნოსტიკო მოწყობილობები, მზომი ხელსაწყოები, ავტომობილის ამწეები, იარაღებისა და სამარჯვების კომპლექტები, საწარმოო ზონაში სადაც განხორციელდება სწავლება განთავსებულია უსაფრთხოების წესები, პიქტოგრამები და სხვა გამაფრთხილებელი ნიშნები, პარტნიორი ორგანიზაციის ბაზებზე დაწესებულება გეგმავს საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს პროგრამით გათვალისწინებული შემდეგი მოდულები: ,,ბენზინისა და აირის საწვავზე მომუშავე ძრავას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ელექტრონული ანთების სისტემის სერვისი"; ,,ავტომობილის უსაფრთხოებისა და გატაცების სისტემების სერვისი"; ,,ავტომობილის საჭის მექანიზმის ელექტრონული მართვის სისტემების სერვისი"; ,,ელექტრო და ჰიბრიდული ავტომობილების სერვისი"; ,,ავტოსერვისის საზეინკლო სამუშაოები". ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა კომპანიის წარმომადგენლებს, რომელთაც თავის მხრივ გამოთქვეს მზადყოფნა საჭიროების შემთხვევაში სრული დახმარება გაუწიონ კოლეჯს და მის სტუდენტებს სწავლის შედეგებით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებაში.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს 21 პროფესიული განათლების მასწავლებელი აქედან 5 ზოგადი მოდულისთვის, 15 პროფესიული მოდულებისთვის, ხოლო 1 ქართული ენის მოდულისთვის. ვიზიტის დროს გადამოწმდა მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების არსებობა და მისი შესაბამისობა კანონმდებლობის ვიზიტის ფარგლებში განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პერსონალი შეძლებს გაუძღვეს, როგორც თეორიულ ისე პრაქტიკული კომპონენტის შემცველ მოდულებს. შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მოდულის განმახორციელებელის ჩანაცვლება შესაბამისი კომპეტენციის მქონე პროფესიული მასწავლებლით.

პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეების შესწავლა და მათთან გასაუბრება, რის შედეგადაც დადგინდა - წარმოდგენილი მასალები დამაკმაყოფილებელია და პროფესიული განათლების მასწავლებლების კომპეტენცია იძლევა პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას. ამას ადასტურებს შესაბამისი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტაცია: დიპლომები და სერტიფიკატები, ორგანიზაციის მიერ დამოწმებული სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები, პროგრამის განხორციელებაში ჩართული მასწავლებლების უმეტესობას გავლილი აქვთ ტრენინგი ,,პროფესიული განათლების მასწავლებელთა პედაგოგიური პროგრამის სრული კურსი", რომელიც ორგანიზებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ და წარმოდგენილია შესაბამისი სერტიფიკატები, აღნიშნული ტრენინგ-კურსის თემატიკის ერთ-ერთი კომპონენტია მოდულური სწავლების თავისებურებები. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამას ჰყავს მაღალი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დასტურდება დიპლომით და შესაბამისი გამოცდილებით, ხოლო მასთან გასაუბრებით დადასტურდა მისი მზაობა პროგრამას უხელმძღვანელოს სათანადო დონეზე. მისი ფუნქციები და სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება მასთან გაფორმებული შეთანხმებით. ექსპერტების ჯგუფის მიერ პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით დადასტურდა მისი ჩართულობა პროგრამის მოდიფიცირებისა და განხორციელების პროცესში.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

დაწესებულებაში არსებული ყველა საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ბეჭდური/ელექტრონული სახით სტუდენტებისათვის. ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია სასწავლო რესურსი. ელექტრონული სასწავლო რესურსი განთავსებულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში, საიდანაც მოხდება მომხმარებლის სურვილის შესაბამისად, მასალების მიწოდება (ელექტრონულ მატარებლებზე გადატანა ან ბიბლიოთეკაში დაბეჭდვა). ბიბლიოთეკის ფონდი შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ ლიტერატურას. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და მუდმივად წარმოებს ყოველდღიური აღრიცხვის ჟურნალის შევსება. დაწესებულებას აქვს სამკითხველო დარბაზი. სტუდენტებს საჭიროებისამებრ შეუძლიათ სასწავლო რესურსების გამოყენება. ვიზიტის პერიოდში გადამოწმებისას ადგილზე აღმოჩნდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსი მოძიებადია და შეესაბამება მოდულში გაწერილ თემატიკას.

აღსანიშნავია, რომ გარდა მოდულით განსაზღვრული სასწავლო რესურსისა, წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის სწავლების პროცესში აუცილებელია გამოყენებულ იქნას კონკრეტული ავტომობილის/ავტომობილების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის სახელმძღვანელო, რომელიც გამოცემულია ქარხანა-დამამზადებლის, ან სხვა გამომცემლის მიერ, შესაძლებელია აღნიშნული ინფორმაცია პროგრამული უზრუნველყოფის სახითაც იყოს წარმოდგენილი. დაწესებულებამ წარმოადგინა მის საკუთრებაში არსებული სასწავლო დანიშნულების მქონე ავტომობილების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის სახელმძღვანელოები და მასთან ერთად ევროპული, აზიური და ამერიკული ავტომობილების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის სახელმძღვანელოები/პროგრამები, აღნიშნული რესურსი გამოყენებული იქნება სასწავლო პროცესში.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

კოლეჯის სასწავლო გარემო ადაპტირებული და მორგებულია სსსმ პირებისათვის, რომელთაც თავისუფალი წვდომა აქვთ პროგრამით, ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან. დაწესებულებაში მოქმედი წესის შესაბამისად, თუ სსსმ/შშმ სტუდენტი ვერ აღწევს სწავლის შედეგებს, მისთვის იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. აღნიშნული გეგმა ითვალისწინებს მოდულის/სწავლის შედეგის მოდიფიცირებას ან აკომოდირებას (სწავლებისა და შეფასების მიდგომების ცვლილებას), რაც ხორციელდება ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და სასწავლო პროცესის მენეჯერის მჭიდრო კოორდინაციითა და სტუდენტის/მისი კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობით. სსსმ პირთა ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, კოლეჯი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო რესურსების ადაპტირებას, დამხმარე ტექნიკითა თუ პროგრამული მხარდაჭერით აღჭურვას

ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კოლეჯს პროგრამაზე ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ დამუშავებული აქვს საპროგნოზო ბიუჯეტი, რომლის სავარაუდო შემოსულობებისა და ხარჯვითი კომპონენტის ამსახველი დოკუმენტი წარმოდგენილი იქნა დაწესებულების მიერ, ბიუჯეტი ეფუძნება ვაუჩერულ დაფინანსებას, განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი 7 პროფესიული სტუდენტი, დოკუმენტი მოიცავს პროფესიული მასწავლებლების ანაზღაურებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზებისთვის საჭირო რესურსების შეძენაზე გაწეულ ხარჯებს. წარმოდგენილი ინფორმაციის შეფასების შედეგად ვლინდება, რომ პროგრამა ფინანსურად მდგრადია და მის განხორციელებას საფრთხე არ დაემუქრება.

ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ კოლეჯის ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ განსახორციელებლად საჭირო A, A/C გარემოს და პარტნიორი ორგანიზაციის ბაზების ვიზუალური დათვალიერება;
- პარტნიორი ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმით გათვალისწინებული აღჭურვილობა;
- ინტერვიუ შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან;
- პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გაფორმებული წინასწარი ხელშეკრულებები;
- პროგრამის ხელმძღვანელთან გაფორმებული შეთანხმება;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- კოლეჯის ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ დირექტორის ბრძანება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

პროგრამის შეფასებისა და განვითარების მექანიზმი კომპლექსურად ითვალისწინებს შრომის ბაზრის დინამიკურ მოთხოვნებს, რასაც ადასტურებს დამსაქმებლებთან რეგულარული თანამშრომლობა და პროგრამების პერიოდული განახლება. პროცესში არსებითი როლი ენიჭება შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების - პროფესიული განათლების მასწავლებლების, სტუდენტებისა და პერსონალის გამოკითხვებიდან მიღებულ უკუკავშირს. ამასთანავე, კოლეჯი აქტიურად ეყრდნობა ადგილობრივ და საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილებას, მათ შორის უცხოური პროფესიული განათლების მოდელების გაზიარებასა და თანამედროვე ციფრული რესურსების ინტეგრირებას. შეფასების სისტემა ასევე უზრუნველყოფს ინკლუზიურობასა და სასწავლო პროცესის მუდმივ შიდა მონიტორინგსა და ვერიფიკაციას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დაწესებულება სისტემატურად აანალიზებს სასწავლო პროცესის მონიტორინგის, შეფასების ვერიფიკაციისა და დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვების შედეგებს. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე, დადგენილი წესებისა და პროცედურების სრული დაცვით, ხორციელდება საჭირო ცვლილებები პროგრამებსა და მოდულებში, რაც უზრუნველყოფს სწავლების ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებასა და მის აქტუალურობას.

ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგია
- სსიპ - კოლეჯ გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები და 2025-2027 წლების სამოქმედო გეგმა
- ჩატარებული გამოკითხვების ანგარიშები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ განაცხადის დანართებში წარმოდგენილია სასწავლო გეგმა. სასწავლო გეგმებით განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მოქმედი (მილევადი სტატუსის მქონე) პროგრამების სასწავლო გეგმის მიხედვით გაწერილი კალენდარული გეგმების შესაბამისობის შემოწმება და დადგინდა, რომ კალენდარული გეგმები სასწავლო გეგმაში გაწერილი თარიღების შესაბამისია, მოიცავს მოდულით განსაზღვრულ თემატიკას.

ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

კოლეჯში სასწავლო პროცესი პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებსა და საჭიროებებზეა მორგებული. სასწავლო გეგმით მკაფიოდ განისაზღვრება პროგრამის ხანგრძლივობა და მისაღწევი სწავლის შედეგები (ცოდნა და უნარები), ხოლო სსსმ/შშმ სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილია ადაპტირებული გარემო და ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი გამჭვირვალედ განსაზღვრავს სტატუსის მოპოვება/შეჩერება/აღდგენის, მობილობის, სწავლის შედეგების დადასტურების, განმეორებითი შეფასების, გასაჩივრების, ფორმალური განათლების აღიარებისა და ინდივიდუალური გეგმით სწავლების მექანიზმებს. ადმინისტრაცია სისტემატურად იკვლევს სტუდენტთა საჭიროებებს და ოპერატიულად რეაგირებს მათზე.

ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

პროგრამა აღჭურვილია სწავლის შედეგის მიღწევისთვის საჭირო ყველა მატერიალურ-ტექნიკური რესურსით და შესაბამისი თანამედროვე ტექნოლოგიებით. უმეტესად ესაა ავტომობილის სადიაგნოსტიკო თანამედროვე ტექნიკური საშუალებები, რომელიც გამოიყენება მსუბუქი ავტომობილის ელექტრონული მართვის სისტემების ტექნიკური მდგომარეობის განსაზღვრის პროცესში. პროფესიულ მასწავლებლებს პირადი საქმეებისა და გასაუბრების საფუძველზე უდასტურდებათ დარგობრივ და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებულ ტრენინგებზე დასწრება.

ინდიკატორი 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

დაწესებულებაში მოქმედებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გარემოს შექმნასა და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით შედგენილი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალურ სასწავლო მიზნებსა და სწავლის შედეგების მიღწევის გზებს აღნიშნული გეგმა მუშავდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე იმ სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის, რომელთაც ესაჭიროებათ დამატებითი მხარდაჭერა სწავლის შედეგების მისაღწევად, ასევე მობილობის შედეგად გადმოსული სტუდენტებისთვის - აკადემიური განსხვავებების დაძლევის მიზნით, და სტატუსაღდგენილი პირებისთვის - სასწავლო პროცესში მათი სრულფასოვანი რეინტეგრაციის უზრუნველსაყოფად. კოლეჯს გააჩნია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებისა და პრაქტიკაში ეფექტიანად დანერგვის გამოცდილება.

ინდიკატორი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ სსიპ კოლეჯის ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ მიერ განხორციელდება რეალურ სამუშაო გარემოში კოოპერაციული მიდგომით. აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული მოდულების - ,,ბენზინისა და აირის საწვავზე მომუშავე ძრავას ელექტრონული ანთების სისტემის სერვისი“; ,,ავტომობილის უსაფრთხოებისა და გატაცების სისტემების სერვისი“; ,,ავტომობილის საჭის მექანიზმის ელექტრონული მართვის სისტემების სერვისი“; ,,ელექტრო და ჰიბრიდული ავტომობილების სერვისი“; ,,ავტოსერვისის საზეინკლო სამუშაოები“ განხორციელების მიზნით ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებული აქვს კომპანიებთან შპს „სუპერმოტორსი მჯ“ - მემორანდუმი №6, 17.07.2026 წ.; შპს „ნიუ ენერჯ ინვესტი“ - მემორანდუმი №18, 24.07.2026 წ.; შპს „მაქსსერვისი - მემორანდუმი №14, 23.07.2026 წ.; შპს ,,ქარფოინთი“ - მემორანდუმი №10, 17.07.2026 წ., მემორანდუმების მიხედვით განსაზღვრულია პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე განხორციელებული მოდულის დასახელება, სწავლის შედეგების მითითებით, მოცემულია სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა და მატერიალური რესურსის ჩამონათვალი. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე, რის შედეგადაც დადგინდა, რომ პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე წარმოდგენილია მსუბუქი ავტომობილის ელექტრული და ელექტრონული სისტემების სადიაგნოსტიკო მოწყობილობები, მაღალ ძაბვაზე მომუშავე მზომი ხელსაწყოები, ავტომობილის ამწეები, იარაღებისა და სამარჯვების კომპლექტები, საწარმოო ზონაში სადაც განხორციელდება სწავლება განთავსებულია უსაფრთხოების წესები, პიქტოგრამები და სხვა გამაფრთხილებელი ნიშნები, სტუდენტებისა და პროფესიული მასწავლებლებისთვის ობიექტზე შესვლისას განხორციელდება შესაბამისი უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის ჩატარება. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა კომპანიის წარმომადგენლებს, რომელთაც თავის მხრივ გამოთქვეს მზადყოფნა სრული დახმარება გაუწიონ კოლეჯს და მის სტუდენტებს სწავლის შედეგებით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებაში.

ინდიკატორი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ სალექციო მეცადინეობები ჩატარდება A სასწავლო გარემოში, ხოლო პრაქტიკული მეცადინეობისთვის კოლეჯს გამოყოფილი აქვს მის საკუთრებაში არსებული A/C სასწავლო გარემო და პარტნიორი ორგანიზაციის სივრცე შესაბამისი მატერიალურ ტექნიკური რესურსით, ექსპერტთა შეფასებით სასწავლო პროცესი ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. A/C გარემოში მოთავსებულია პირველადი სამედიცინოო დახმარების ყუთი, ცეცხლმაქრი. გამოკრულია მუშაობისა და უსაფრთხოების დაცვის წესები, ძალური დანადგარები (ამწეები, ჩარხები და ა.შ.) აღჭურვილია უსაფრთხოდ ექსპლუატაციის პიქტოგრამებით.

ინდიკატორი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო გეგმა/გეგმები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ პაკეტი
- პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები;
- სივრცეების ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.
პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული სტუდენტთა შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის ფუნდამენტურ პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის ეფექტიან და მიუკერძოებელ გაზომვას. შეფასების ვალიდურობა მიიღწევა იმით, რომ გამოყენებული ინსტრუმენტები და პრაქტიკული თუ თეორიული დავალებები ზუსტად შეესაბამება პროგრამითა და მოდულებით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს, რაც იძლევა შესაძლებლობას მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე დადასტურდეს სტუდენტის რეალური ცოდნა და უნარები. სისტემის სანდოობა გარანტირებულია სტანდარტიზებული შეფასების პროცედურებით, სადაც შედეგები უცვლელი და უტყუარია მიუხედავად იმისა, თუ ვინ და როდის ახორციელებს შეფასებას. პროცესის გამჭვირვალობასა და ობიექტურობას უზრუნველყოფს ის გარემოება, რომ შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები, რუბრიკები და განრიგი წინასწარ არის ცნობილი სტუდენტებისთვის, ხოლო შეფასების პროცესი ეფუძნება მკაფიოდ გაწერილ მითითებებს. ამასთანავე, შეფასების სისტემის სამართლიანობას კიდევ უფრო ამყარებს შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმები და სააპელაციო კომისიის მეშვეობით განმეორებითი შეფასების ჩატარების უზრუნველყოფა.
ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.
სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა მოიცავს ვერიფიკაციის ეფექტიან შიდა მექანიზმს, რომლის მთავარი მიზანი შეფასების პროცესის სანდოობის, ვალიდურობის, გამჭვირვალობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფაა. ხარისხის უზრუნველყოფის ეს კომპონენტი ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით შექმნილი შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ, რომელიც აერთიანებს ხარისხის მართვის მენეჯერს და შესაბამისი დარგის სპეციალისტებს. ჯგუფი შეფასების ინსტრუმენტების, პროცესისა და მტკიცებულებების შემოწმებას ახორციელებს როგორც შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, ისე იდენტიფიცირებული რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებების მაღალ სიზუსტესა და სამართლიანობას
ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.
დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული ყველა მონაცემის, ინფორმაციისა და მტკიცებულების სისტემატიზებულ აღრიცხვასა და უსაფრთხო შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ გადაეცემა არქივს და ინახება მუდმივად .
ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგის ჯგუფი პერიოდულად აკვირდება სასწავლო პროცესსა და სწავლის შედეგების დადასტურების/შეფასების ეტაპებს. დაკვირვების შედეგად ჯგუფი ახორციელებს სწავლებისა და შეფასების პროცესების ანალიზს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს. ამასთან, კოლეჯი სისტემატურად აანალიზებს სტუდენტთა შეფასების სტატისტიკურ მონაცემებს (შედეგების დადასტურებისა და ვერდადასტურების მაჩვენებლებს), რასაც აქტიურად იყენებს სწავლების ხარისხის უზრუნველყოფისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი
- სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- ვერიფიკაციის ჯგუფის სხდომის ოქმები და ვერიფიკაციის დასკვნები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

თარიღი:18.08.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: